



იმისთანა წმინდა სადმეში, ბოგბოღ ბუქ-  
უბი სიფყავა, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-  
თის გაცანა ყულა უჯანბნბაბუ უსამაგლსია.

ბაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 8 ივნისი. 2023 წ. №66 (9598) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში



## როინ მეტრეველი აკადემიის ახალი პრეზიდენტია!



დენტის პოსტზე ათწლიანი მოღვაწეობის დროს გა-  
წეული ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის.

საერთო კრების წამყვანმა აღნიშნა, რომ მეცნიე-  
რებათა აკადემიის განახლებული დებულება, პრეზი-  
დიუმმა 27 მაისის სხდომაზე დაამტკიცა, ის მაშინვე  
შესაბამის ვებ-გვერდზე აიტვირთა. იმავე დღეს, პრე-  
ზიდიუმის მეორე სხდომაზე დაინიშნა პრეზიდენტის  
არჩევნები, ხოლო პრეზიდენტობის კანდიდატად აკა-  
დემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებაში  
ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი წარ-  
ადგინა.

კრების მონაწილეებმა დაამტკიცეს აკადემიის წევ-  
რთა 71-უაციანი სია, რომელთაგან საზღვარგარეთ  
ყოფნის მიზეზით რამდენიმე კაცი ამოიღეს, ხოლო  
ზოგიერთ სწავლულს ავადმყოფობის გამო, ხმის მი-  
საცემად შემდგომ ოჯახებში მიაკითხეს.

საპროგრამო სიტყვით დამსწრეთა წინაშე გამო-  
ვიდა მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტობის კან-  
დიდატი **როინ მეტრეველი**. მთავარ ამონარიდებს მისი  
გამოსვლიდან მორიგ ნომერში შემოვთავაზებთ.


კრების მონაწილეებს გააცნეს აკადემიკოს როინ  
მეტრეველის მხარდასაჭერი წერილები, მათ შორის  
ისტორიულ მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტე-  
ტიდან, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკა-  
დემიებიდან, ევროპის მეცნიერებისა და ხელოვნების  
აკადემიიდან, სხვა უცხოური და საერთაშორისო ორ-  
განიზაციებიდან.

აკადემიკოს როინ მეტრეველის პრეზიდენტად არ-  
ჩევასთან და აკადემიური ცხოვრების ზოგიერთ სხვა  
საჭირობოტო საკითხთან დაკავშირებით, დამსწრეთა  
წინაშე სიტყვით გამოვიდნენ აკადემიკოსები **ინესა მე-  
რამიშვილი**, **ელიზბარ ჯაფელიძე**, **ლია მელიქიშვი-  
ლი**, **გიორგი ჯაფარიძე**, **ავთანდილ არამბული**. მათ  
ილაპარაკეს მეცნიერებაში ახალგაზრდების მოზიდ-  
ვის აუცილებლობაზე, რისთვისაც საჭიროა სათანა-  
დო სამუშაო პირობების შექმნა და ღირსეული ანაზღა-  
ურების უზრუნველყოფა...

ვენჭისყრის შედეგად ხმის მიცემის უფლების მქონე  
აკადემიკოსთაგან 66-მა კაცმა მხარი დაუჭირა აკა-  
დემიკოს როინ მეტრეველის კანდიდატურას, ექვსმა  
კაცმა წინააღმდეგ მისცა ხმა, ერთმა კი თავი შეი-  
კავა!

**ვულოცავთ ბატონ როინს ეროვნული აკადემი-  
ის პრეზიდენტობას და დიდ შემოქმედებით გამარ-  
ჯვებებს ვუსურვებთ!**

საკუთარი ინფორმაცია



ნ. 6 გვ.

## ქართველი მიქელანჯელო მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება

ირაკლი ღარიბაშვილი:

## მშვილობას მოაქვს ალმუხანელობა თბილისში და რეგიონებში!



ნ. 2 გვ.

ნუზარ რუსაძე

## რატომ დაუტოვა ამერიკამ თალიბებს ამდენი სამხედრო ტექნიკა?!



ბულანდილი კანდიდატი

## ნატოს გაფართოება გამოიწვია ეს ომი



აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კან-  
დიდატმა, ვივეკ რამასვამიმ NatSec Daily-ის  
განუცხადა, რომ ნატოს წევრობის გაფართო-  
ება არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც რუ-  
სეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი უკრა-  
ინაში შეიჭრა.

**„მე ვიცი, რომ თქვენ ეს არ უნდა თქვათ,  
მაგრამ ეს ფაქტია. ნატოს გაფართოება კა-  
ტასტროფა იყო“** – განაცხადა მან.

ამასთან, რამასვამიმ მოიყვანა მაგალითი იმისა,  
რომ რუსეთი საქართველოში შეიჭრა 2008 წელს,  
ალბანის სამიტის შემდეგ, სადაც ითქვა, რომ  
ქვეყანა საბოლოოდ გახდებოდა ნატოს წევრი.

რამასვამი POLITICO-ს ჟურნალისტს მას შემდეგ  
ესაუბრა, როდესაც მან ABC News-ს განუცხადა,  
რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძ-  
ლება დაასრულოს რუსეთთან ბრძოლა „მნიშ-  
ვნელოვანი დათმობებით“.

**„პუტინი საბოლოო ჯამში, ყირიმით და  
დონბასის უმეტესი ნაწილით დაასრულეს“**,  
– განაცხადა რამასვამიმ. გარდა ამისა, მი-  
სივე თქმით, **ნატო უნდა დაჰპირდეს, რომ  
უკრაინა არ შეუერთდება ალიანსს და აშშ-  
მ უნდა აღადგინოს „სრული ეკონომიკური  
ურთიერთობები“ რუსეთთან. „ეს არის დი-  
დი დათმობები“**, – აღნიშნა მან.



# მუვილობას მოაქვს აღმუენებლობა თბილისში და რეპონებში!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი 6 ივნისს ქუთაისში, პრაღის, „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. მთავრობის მეთაური ფალოაშვილის ქუჩაზე იმყოფებოდა, სადაც განხორციელებულ სამუშაოებს გაეცნო და ადგილობრივ მოსახლეობას გაესაუბრა.

ამ დროისთვის დასრულებულია ფალოაშვილის ქუჩაზე მდებარე 15 შენობის რეაბილიტაცია, რაზეც ცხრა მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამჟამად მიმდინარეობს ცენტრალური პარკისა და მის მიმდებარე განთავსებული შენობების რეაბილიტაცია, რომლის ღირებულება 14.8 მილიონ ლარია. ასევე, მიმდინარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ოქროს ჩარდახის რეაბილიტაცია.

პრემიერ-მინისტრთან ერთად ადგილზე მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ლერი ბარნაბიშვილი, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისში ოლიმპიური საცურაო აუზი დაათვალიერა. ოლიმპიური საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მენეჯერული განვითარების ფონდმა განახორციელა.

თანამედროვე, ოლიმპიური სტანდარტის საცურაო აუზის სიგრძე – 50 მეტრი, ხოლო სიგანე 25 მეტრია. აუზის კომპლექსში მოეწყობა 600-მდე მაყურებელზე გათვლილი ტრიბუნა, მცირე საბავშვო აუზი, საეარჯიშო დარბაზები, განსხვავებული სპორტისთვის და მსაჯებისათვის, სივრცეები კვებისა და სპორტული ინვენტარის მაღაზიებისთვის. ოლიმპიური აუზის შენობა ალქურვილია თანამედროვე საინჟინრო ქსელებით, საფილტრაციო და სატემბი სადგურებით, გათბობის, გაგრილების და სახანძრო სისტემებით. აუზის გარე ტერიტორიაზე მოეწყობა პარკინგი და გარე კაფე. ახალი აუზით სარგებლობას შეძლებენ როგორც მოყვარულები, ისე სპორტსმენები საწყლოსნო სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ოლიმპიური აუზი მოემსახურება ადგილობრივ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებსაც.



და ამიციას, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია. ჩვენ თუ გვინდა, რომ ქვეყანა გახდეს რეალურად ჰაბი, მათ შორის საავიაციო ჰაბი, აუცილებელია, თანამედროვე აეროპორტის მშენებლობა, თავისი ტერმინალებით, და ამ მიმართულებით ჩვენ ვიდევ უფრო მეტს ვაგვაკეთებთ, – განაცხადა პრემიერმა.

მახინჯებით და არასწორი განცდების შექმნით. ეს ემსახურება ერთ მიზანს, მე ეს არაერთხელ მითქვამს. ღია საუბარი მქონია ნატოს ხელმძღვანელობასთან, მოქმედთან და წინა ხელისუფლებასთან, წინა პრემიერ-მინისტრობის დროს. მათთან მქონდა პირდაპირი საუბარი, მე არ მინდა, საუბრის შინაარსი გითხრა, მაგრამ ბუნდოვანი იყო და დღესაც ბუნდოვანია საერთოდ მათი განცხადებები. მე ვეუბნები, რომ დღეს ქვეყანას ნატოსთან სრულად თავსებადი ჯარი ჰყავს, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

„ჩვენ ამდენი ვიომეთ ავღანეთში, ერაყში, ყველგან, სისხლი დავდვარეთ და ბოლოს, შარშან კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს კანდიდატის სტატუსი, მაშინ როდესაც დღეს-წევრ ქვეყანას მისცეს კანდიდატის სტატუსი. ამაზე ჩვენს უსახუხისმგებლო პოლიტიკოსებს არ ჰქონდათ არავითარი რეაქცია, ამაში ჩანს, როგორ იცავენ ეს ადამიანები ჩვენი ქვეყნის ინტერესებს. მინდა, შეგახსენოთ, გუშინ თუ გუშინინ გაუცვლდა ბატონი ზელენსკის ინფორმაცია ამის თაობაზე, თითქოს მან თქვა, რომ თუ რეალური დაპირება არ იქნება, უკრაინაც ვერ ხედავს აზრს, რომ დაესწროს ვილინიუსის სამიტს, ეს უკრაინის პრეზიდენტის განცხადებაა. ამაზე უნდა გააკეთოთ სიუჟეტები და არა ყალბი, მოგონილი ამბებზე. ეს იქნება ჩემი რჩევა. ამ რთულ სიტუაციაში ჩვენს ქვეყანას უნდა ვესურვოთ მშვიდობა. ყველა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი უნდა იფიქროს მშვიდობაზე, მშვიდობის შენარჩუნებასა და სტაბილურობაზე და ჩვენი ქვეყნის გადარჩენაზე. ყველაფერი იქნება ძალიან კარგად, ძალიან ბევრი შიდა თუ გარე მტრის სურვილების მიუხედავად, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## გინდა, ჩვენი ქვეყანა ბარდაშენატი რეალურად პირობული ტიპის, თანამედროვე, მოვლილ ქალაქებად, რეპონებად, სოფლებად

...3080 ძალიან მდიდარი ტრადიციების შესახებ, რომელიც არსებობს ქუთაისში. ფეხბურთი ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს ჩვენთვის და, განსაკუთრებით, ქუთაისისთვის, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისში, რამაშ შენგელის სახელობის განახლებულ სტადიონზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი.

„ჩვენ ვიდევ სხვა მასშტაბური პროექტები გვაქვს გეგმაში. ჩვენ დღეს დავათვალიერებთ, ასევე, ოლიმპიური სტანდარტების ახალ საცურაო აუზს, რომელიც ჩვენ დაახლოებით ორი წელიწადში დავასრულებთ. მშენებლობა დაიწყო 2021 წლის 9 ივნისს და დღეს შეგვეძლება, რომ ერთობლივად გავხსნათ ეს ახალი საცურაო აუზი.

სხვა მნიშვნელოვანი პროექტები მიმდინარეობს ქუთაისში. განახლებული რეგიონის ფარგლებში, ჩვენ ჩავუტარეთ რეაბილიტაცია ძალიან მნიშვნელოვან ობიექტებს, მაგრამ ახლა ჩვენ ვიწყებთ კიდევ უფრო მასშტაბურ პროექტს, ჩვენი ისტორიული ქუთაისის, ისტორიული უბნების რეაბილიტაციას. 200 მილიონი გვაქვს ჩასმული წელს. გვინდა, რომ 10 ქალაქში დავიწყოთ განახლების სამუშაოები. მიმდინარეობს პროექტზე მუშაობა და წელსვე დავიწყებთ სამუშაოებს...

ასე რომ, ჩვენ ეტაპობრივად ვუვლით ქალაქებს, ვალამაზებთ და გვინდა, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა გარდაეყვანოს რეალურად ევროპული ტიპის, თანამედროვე, მოვლილ, ლამაზ ქალაქებად, რაიონებად, სოფლებად. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი.

## არ სიამოვნებთ ჩემი საუბარი, თითქოს სააკაშვილი მოკალით, მაინც გასოცხლდა და ყველაფერი კარგად აქვს, ეს სიბინძურე დასრულდა სტრასბურგის ძლიერი გადარწმუნებით

პენარაშვილმა და სააკაშვილმა გაძარცვეს მთელი მიზნის, ვეზერაშვილმა გაძარცვა ქართული ჯარი, ახლა მთელი ევროპა გაძარცვა, ეს უნდა ვიმეოროთ ყოველდღე, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ურნალის-ტებს განუცხადა. მისივე თქმით, რეალურად ასეთი ძარცვა ევროპის მასშტაბით არავის ჩაუდენია.

## გული დაიშვიდა, დავნილო!

ძალიან კარგად გვესმის, რომ მრავალი წელია, ელოდით ბინების გადმოცემას. ყველამ ერთად ძალიან ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ წლების განმავლობაში, მას შემდეგ, რაც დროებით დავკარგეთ ჩვენი ძირძველი, ისტორიული ტერიტორიები. კარგად ვიცი, როდელ დიდია ის ტკივილი, რომელიც ამ ომმა მოგვაყენა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთაისში, დევნილი ოჯახებისთვის ბინების გადაცემის ცერემონიაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, დღეს ქვეყნის 20% არის დროებით ოკუპირებული და ეს არის დროებითი ოკუპაცია.

„ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე დავკარგეთ ამ ომებში და, რაც მთავარია, დღეს ჩვენი ქვეყნის 20% არის დროებით ოკუპირებული. მინდა, ხაზი გავუსვა, ეს არის დროებითი ოკუპაცია. მჯერა, რომ, ღმერთის დახმარებით, უფლის შეწევნით, შედეგზე გათვლილი, ორიენტირებული პოლიტიკით მივაღწევთ ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი, საერთო დიდი ოცნება და ერთობილი მიზანსაც ეს უნდა იყოს.

ჩვენი პოლიტიკოსების, მნიშვნელობა არ აქვს, ოპოზიციაში არის ადამიანი თუ პოზიციაში, ყველას ამოცანა უნდა იყოს გაერთიანება. ნებისმიერ ადამიანს ვკითხოთ აქ, რა არის თქვენი მთავარი საზრუნავი, საფიქრალი, ხომ არის თქვენი დაზრუნება თქვენს სახლებში, აფხაზეთში, სამაჩაბლოში. მჯერა, ეს დღე აუცილებლად დადგება, რადგან ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა გვაახლოვებს ამ დიდ მიზანთან ყოველდღე. მე ამის ღრმად მჯამს. მჯერა, ამას ალტერნატივა არ აქვს“...

## ქუთაისის პარლამენტის შენობა - ტექნოლოგიური ჰაბი, სენტრი ანაღაზრდებისთვის

...პროგრამის სამინისტრო ამზადებს გლობალურ პროექტს და, ძალიან მალე ამის თაობაზე იქნება დეტალური ინფორმაცია: ქუთაისის პარლამენტის შენობა, გვინდა, გახდეს ტექნოლოგიური ჰაბი, ცენტრი ახალგაზრდებისთვის, აიტი სექტორში მომუშავე ახალგაზრდებისთვის და არა მხოლოდ, ეს უნდა იყოს მულტიფუნქციური, თანამედროვე, ტექნოლოგიური ქალაქი და ცენტრი, ადგილი, რომელშიც თავს მოიყრის ძალიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, – ამის შესახებ მთავრობის მეთაურ-



„დადასტურებულია, რომ ერთი მილიარდი ევრო არის მოპარული ტელეკომპანია „ფორმულას“ მფლობელის, დავით კეზერაშვილისა და მისი კომპანიების თაღლითური საქმიანობის შედეგად. ჩვენ არ მოგვისმინია არავითარი განმარტება, გარდა იმისა, რომ ისევე უსუსური მცდელობები შეინდობა, ვიდრე რაღაცეები გადააზრალეს და ასე შემდეგ, სტანდარტული პასუხი. „მისისი“ არის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული, მაღალსაიმედო ორგანიზაცია. „მისისის“ და არა მხოლოდ, გერმანიის გამოძიებითაც დადასტურებულია თაღლითური საქმიანობები. ბოლო ორი წელია, ამ გამოძიებაში ჩვენც ჩართული ვიყავით, ჩვენც არაერთხელ დადიან მგერი ერთობლივი ღონისძიება თაღლითური საქმიანობის გამოსაძიებლად. ათასობით პენსიონერი გაძარცვულია თქვენი მფლობელის, კეზერაშვილის მიერ. თქვენი კომპანია, ოპოზიციური არხები ფინანსდებიან მოპარული ფულით, რომ იცოდეთ, აქედან დავიწყოთ, ეს არის მთავარი. თქვენი ტელევიზია ფინანსდება მოპარული, ნაძარცვი ფულით. მანამდე ამ კაცმა გაძარცვა ქართული ჯარი, დაატერორა მიზნები, გაძარცვეს მთელი მიზნები მან და საავაშვილმა, ახლა მთელი ევროპა გაძარცვა. მილიარდი დოლარია მოპარული. ეს უნდა ვიმეოროთ ყოველდღე...“

ამასთან, პრემიერ-მინისტრის თქმით, „არ სიახლოვებთ საერთაშორისო პლატფორმებზე ჩემი საუბარი, თითქოს სააკაშვილი ვაწამეთ, მოგვალით, მაინც ვაცოცხლდა და ყველაფერი კარგად აქვს, ეს სიბინძურე დასრულდა სტრასბურგის ძლიერი გადაწყვეტილებით“.

### გვარამია ბაქარსა „რუსთაი 2“ თუმცა, კეზერაშვილისგან განსხვავებით, პატარა მსუბუქია...

სასამართლო გადაწყვეტილება და ჩვენ არავითარი როლი არ გვაქვს ნიკა გვარამიას საქმეში, მაგრამ საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ გვარამიამ ექვსი მილიონით გაძარცვა ტელეკომპანია „რუსთაი 2“. საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვის საკითხზე.

„გამომიჭიეთ, როგორი კითხვა დამისვით. გვარამიას საქმეზე ჩემგან ნუ ელოდებთ კომენტარს, ეს არის ჩვეულებრივი სისხლის სამართლებრივი საქმე, რომელზეც თავისი აზრი და შეფასება, გამოძიების შედეგები და იდო პროკურატურის მიერ, საგამომიჭო ორგანიზაციის მიერ, შემდეგ სასამართლომ გადაწყვიტა ეს და მე არც ვცოდები უზენაესში თუ არის მისი საქმე. ეს სასამართლო გადაწყვეტილება და ჩვენ არავითარი როლი არ გვაქვს ამ საქმეში, მაგრამ საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რომ გვარამიამ ექვსი მილიონით გაძარცვა ტელეკომპანია „რუსთაი 2“, თუმცა, კეზერაშვილისგან განსხვავებით, აქ შედარებით პატარა მსუბუქია. ექვსი მილიონი, თუ არ ვცდები, ეს, რაც ვიცი ტელევიზიით...“

ამასთან, ურუნდლის კითხვაზე, პრემიერის შანტაჟი მიმდინარეობს თუ არა, რომ არ შეიწყალოს ნიკა გვარამია, ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა: „მე ამ საქმეზე ვერ და არ გავავეთებ კომენტარს“.

### სილეთოს პრესტიჟული ჯილდო პანის მუზეუმს გადაეცა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში იმყოფებოდა, სადაც სილეთოს ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრო და მუზეუმის თანამშრომლებს ევროპის მუზეუმების პრემიის, EMYA 2023-ის გამარჯვებულის ტიტული პირადად მიულოცა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიურ მუზეუმში სილეთოს პრემია 6 მაისს ბარსელონაში, EMYA-ის 2023 წლის დაჯილდოების ცერემონიაზე მიიღო. მუზეუმმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა როგორც გამორჩეულად ცენტრმა, რომელსაც საზოგადოების საკეთილდღეო დადებითი ცვლილებების განხორციელების განსაკუთრებული პოტენციალი აქვს. სილეთოს ჯილდო ყოველწლიურად გადაეცემა ევროპის საუკეთესო მუზეუმს საზოგადოების საკეთილდღეო ჩატარებული საქმიანობისა და საზოგადოების სამუზეუმო ცხოვრებაში განსაკუთრებული ჩართულობისთვის. სილეთოს გარდამავალი ჯილდო გამარჯვებულ მუზეუმს ერთი წლით გადაეცემა.

### სტუმრად ბელარუსი

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ქუთათელ-განათელ მიტროპოლიტ იოანესა და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლებთან ერთად გელათის მონასტერი დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურმა მონასტერში დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია მოისმინა და ამ კუთხით არსებულ ვითარებას გაეცნო. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, სამონასტრო კომპლექსში აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა, შემუშავდეს ახალი ერთიანი გენერალური გეგმა, რომლის მიხედვითაც, კვლევების საფუძველზე, აღდგენითი სამუშაოები ჩატარდეს. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, მთავრობა სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციის პროცესში საქართველოს საპატრიარქოს სრულ მხარდაჭერას უცხადებს. გელათის მონასტერში, პრემიერ-მინისტრთან ერთად, აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.



## უიქმნა თბილისის თანამედროვე ხელოვნების ფონდი

თბილისის მერიამ ბუფი მინიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ 10 ივნისიდან უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაცია დაიწყება. ასფალტის საფარი 1 600 მეტრ სიგრძეზე დაიგეგმა.

„ბოლო წლებში არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელეთ, თუმცა ცხადია, უამრავი გამოწვევა არსებობს და ეტაპობრივად მივყავით. გვინდა, ყველა იმ ქუჩისა და გამზირის მოწესრიგება-განახლება მოხდეს, რომელიც პრობლემური და პრიორიტეტულია. 10 ივნისიდან ვიწყებთ უნივერსიტეტის ქუჩის რეაბილიტაციას. აღნიშნულ ქუჩაზე, რომელიც საკმაოდ დატვირთულია, ძალიან მძიმე მდგომარეობაა. პირველ რიგში, შესაცვლელია მიწისქვეშა კომუნიკაციები, რომელიც კონტრაქტორს ვერ უძლებს და მოწესრიგებას საჭიროებს. 1 600 მეტრის სიგრძის გზის საჯარო ნაწილზე დაიგეგმა ასფალტის საფარი, მოეწყობა ტროტუარი და გარე განათების ქსელი. დამონტაჟდება ახალი LED ღამ-პიონები, ხოლო ელექტროგადამცემი ხაზები მიწისქვეშ განთავსდება.“

სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, 10 ივნისიდან უნივერსიტეტის ქუჩის ერთ მხარეს ავტომობილების გადაადგილება დროებით შეიზღუდება. ამასთან, კახა კალაძემ თბილისში მიმდინარე და დაგეგმილ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა.

როსამი ან ექვსი თვით, ან კიდევ, ერთი წლის განმავლობაში განთავსდეს“, – განაცხადა კახა კალაძემ.

სამომავლოდ არტისტების ნამუშევრების გამოფენისთვის პერმანენტული სივრცე – ქანდაკებების ბაღი შეიქმნება.

„ნამუშევრები აირჩევა ღია კონკურსის გზით და დროებით, სხვადასხვა საჯარო სივრცეში განთავსდება. სამომავლოდ, აღნიშნული ნამუშევრების გამოფენისთვის ვგეგმავთ, შევქმნათ პერმანენტული სივრცე – ქანდაკებების ბაღი. მინდა, ჩემს მოადგილეს, ანდრია მასილიას ვთხოვო, მეტი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოებას, შეხვდით ამ დარგის წარმომადგენლებს, აუხსენით, აღნიშნული პროექტის იდეა რაში მდგომარეობს“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა ვარკეთილში, ხომლელისა და აბაშვილის ქუჩების მიმდებარე სამ პეტრამდე პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა. რეაბილიტირებული პარკი საზეიმოდ პარასკევს, 9 ივნისს, 20:00 საათზე გაიხსნება. კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, ვაზისუბნის დასახლებაში და მუხიანში, გომბორიძის ქუჩაზე არსებული სკვერების რეაბილიტაციაა.

მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა მიმართა A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს, რომელთაც 10 წლამდე ასაკის ავტომობილი ჰყავთ, საავტომობილო ზოლში მოძრაობისთვის გამოიყენონ როგორც მაიდენტიფიცირებელი სტიკერი, ასევე, მერიის მიერ გაცემული სპეციალური მანიშნომეტი, რათა არ დაჯარიმდნენ.

ჩვენ დავიწყებთ მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელებას. როგორც იცით, ბოლო გადაწყვეტილებით, A კატეგორიის ტაქსის მძღოლებს, რომელსაც ჰყავთ 10 წლამდე ასაკის ავტომობილი, მიეცით საავტომობილო ზოლში გადაადგილების უფლება. მათ უნდა აიღონ სპეციალური სტიკერი, რომელიც უნდა განათავსონ წინა საქარე მინაზე, ზედა მარჯვენა კუთხეში. ასევე, აუცილებელია სპეციალური ტაქსის მანიშნომეტი, რომელიც ჩვენ დავურთავთ. რაც შეეხება სტიკერების გაცემის პროცესს, მერიის ინფორმაციით, დღეისთვის გაცემულია 1 600-ზე მეტი სტიკერი, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რაოდენობის ავტომანქანა უკვე დაშვებულია საავტომობილო ზოლში.

თბილისის მერმა ასევე აღნიშნა, რომ A კატეგორიის ტაქსის იმ მძღოლებისთვის, რომელთა ავტომობილის ასაკი 10 წელს აღემატება, რეგულაცია არ იცვლება – ისინი საავტომობილო ზოლში მხოლოდ მგზავრის აყვანისა და ჩამოსმით უფლებით სარგებლობენ. ამასთან, თბილისის მერმა სხდომაზე QR კოდებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ამ დროისთვის, 200-ზე მეტი QR კოდი გაცემულია, რომლის საშუალებით, მგზავრს შეუძლია ელექტრონულად გადაიხადოს, ხოლო მძღოლს თანხა მომენტალურად აესახება ანგარიშზე. საუბრის დასასრულს, კახა კალაძემ საზოგადოებას უწყების კიდევ ერთი თანამშრომელი, ივეტა მასურაშვილი წარუდგინა, რომელიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში მუშაობს.

„მინდა, დედაქალაქის მცხოვრებლებმა იცოდნენ, რომ ყველა პროექტი კეთდება ფუნდამენტურად და გვინდა, რომ ათეულ წლებს გუძღოს. ცხადია, ამ მასშტაბის სამუშაოებს ახლავს დისკომფორტიც, მაგრამ სხვანაირად წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, მეფრთხი ქუჩა და გამზირი გვაქვს პრობლემური, მათ შორის, რუსთაველის გამზირი. მიწისქვეშა კომუნიკაციები მოწესრიგებულია. მეფრთხი იყო შემთხვევა, რომ ამის გამო კონკრეტულ ადგილებში მიწა ჩავარდა. რა თქმა უნდა, რუსთაველის გამზირსაც სრულ რეაბილიტაციას ჩავუტარებთ“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მთავრობის სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის მერიამ დააფუნა „თბილისის თანამედროვე ხელოვნების ფონდი“, რომელიც უახლოეს მომავალში ამოქმედდება. თბილისის მერიის თქმით, ფონდის მიზანი არტისტების ხელშეწყობა და საჯარო სივრცეში მათი თანამედროვე ვიზუალური ნამუშევრების გამოფენაა.

„თბილისის ცენტრსა თუ რაიონებში სხვადასხვა ადგილს განვსაზღვრავთ. გამოიყოფა კონკრეტული სივრცეები – მოედნები, პარკები, სკვერები და ა.შ., სადაც განთავსდება ქართული არტისტების მიერ შექმნილი ნამუშევრები. ეს ხელს შეუწყობს მათი ცნობადობის ამაღლებას. ისეთ ნამუშევრებს კი, რაც ქალაქის იენსახეში ჩაჯდება, დედაქალაქის მერია შეიძინებს. შეიძლება, შერჩეულ ადგილებზე ზოგი ნამუშევარი

## „უსხოელი“ თანამშრომლებს თბილისის საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურები მარტივდება

საზღვარგარეთ მცხოვრები თანამშრომლებისთვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცედურები მარტივდება, – ამის შესახებ საქართველოს იუსტიციის მინისტრმა, რატი ბრეგვაძემ განაცხადა.

მინისტრმა განმარტა, რა ცვლილებები შედის საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში.

„დღეს საქართველოს მთავრობამ იმსჯელა პრემიერის დაავალებების შესაბამისად მომზადებულ კანონპროექტზე. საქმე ეხება კონკრეტულად „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ ორგანულ კანონში“ ცვლილებების პროექტს. მოგვხსენებთ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სახელმწიფო მზუნავს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამშრომლებთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე. სწორედ ამიტომ, ჩვენი მხრივ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მაქსიმალურად, რა თქმა უნდა, გონივრულ ფარგლებში, სახელმწიფომ გააკეთოს ყველაფერი, რათა საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამშრომლებს, რომლებიც მიღებენ გადაწყვეტილებას, რომ მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა, ეს პროცედურები, შესაძლებლობის ფარგლებში, მაქსიმალურად გაუმარტივდეს. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების მსურველ პირს შესაბამისი გამოცდის ჩაბარება მოუწევს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის მო-

ქალაქეობის მინიჭებაზე განცხადებით მიმართვამდე და არადაზავაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში სააგენტო აღარ დაიწყებს მოქალაქეობის მინიჭების ფორმალურ პროცედურებს, რითიც დაიზოგება დრო და რესურსი. მეორე ცვლილება ეხება იმას, რომ პირს უფლება ექნება, წარუმატებლობის შემთხვევაში გამოცდა გადააზაროს შეუმდებლად.

იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება დადებითი შედეგი, ეს ძალაში იქნება ერთი წლის განმავლობაში. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვების შესახებ განცხადებამდე სამოლო უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მოქალაქეობის მინიჭების პროცედურის ხელშეწყობა დაწყების ვადა ერთი წლიდან ექვს თვემდე მცირდება, რაც საკმაოდ დიდი შედეგია იქნება იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. ასევე, მეორე ცვლილება უკავშირდება ჩვენს მიერ საერთაშორისო ვალდებულებას, კერძოდ, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისიარატის წინაშე აღებული ვალდებულებას, რომლის თანახმად, მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ მოქალაქეობის მოპოვებისთვის დადგენილი საქართველოში ცხოვრების 10-წლიანი ცენზი 5 წლამდე შემცირდება“, – განაცხადა რატი ბრეგვაძემ.





# თამარ კიკნაძე: ვის დაკავთას ასრულებს უსინდისო ღირსება სოციალური?

„დროს“ ლიდერის, ელენე ხომბარაძის ოჯახს რუსეთიდან 22 მაისს 2,5 მილიონზე მეტი რუსული რუბლი ჩაერიცხა. საერთო ჯამში კი, 2021 წლიდან, ხომბარაძის ოჯახის მიერ მიღებული თანხა 5 279 000 რუბლია. ბოლო 3 წლის განმავლობაში ტრანზაქცია რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან 7-ჯერ განხორციელდა. ბოლოს მიღებული თანხა რამდენჯერმე მეტია წინა წლების ჩარიცხვებთან შედარებით.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ხომბარაძის რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან თანხა ერიცხება, თუმცა სავაჭრო ტრანზაქციას „დროს“ ლიდერი იმით ხსნიდა, რომ ოჯახს სოლიკო ვირსალაძის სახელმძღვანელო „პრემია“ ერიცხებოდა და თუკი ხომბარაძის განცხადებიდან გამომავლო, ვირსალაძის ფული არის არა რუსული, არამედ საქართველოსთვის საამაყო ფულია! „საამაყო რუბლის“ მორიგ ტრანზაქციებზე ხომბარაძე განმარტავს არ აკეთებს და აცხადებს, რომ ახლა საქართველოში არ იმყოფება. შეგახსენებთ, რომ ელენე ხომბარაძე, რომელსაც განათლება რუსეთში და კერძოდ, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტს მიიღო, აქვს მიღებული, გამოირჩევა ანტირუსული გამოსვლებით და რეალურად არის პირველი წყარო რუსეთიდან ჩამოსული ტურისტების, თუ სხვა პირების პირადი ინფორმაციის გავრცელების კუთხით. სწორედ ხომბარაძე იყო პირველი, რომლისგანაც შეიტყო სახელმწიფო თბილისში გავრცელების ჩამოსვლასთან დაკავშირებით, მათ შორის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერ-

გეი ლავროვის სიძის ნათესავების ყვარელში დაგეგმილი ქორწილის შესახებ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მიხეილ სარჯველაძე კითხვით მიმართავს „დროს“ ლიდერს, ყველაფერი რუსული თუ მიუღებელია, მაშინ რატომ არის თავად ხომბარაძე ასეთი დაფინანსების მიმღები? როგორც დეპუტატი აცხადებს, საზოგადოება იმსახურებს, რომ ხომბარაძე პასუხები გასცეს ამ კითხვას.

პარლამენტის ვიცე-სპიკერისთვის გაუგებარია, ასეთი რა სისტემა მუშაობს რუსეთში, რომ რუსეთის ფედერაციის მუდმივად ელენე ხომბარაძის ოჯახის ვალი აქვს და ამ დროს რუსეთის ფედერაციის ემბდვის ასე გაშვებული? მისი თქმით, ბოლო პერიოდში რუსეთის ფედერაციის მხრიდან ელენე ხომბარაძის ანგარიშზე 70 ათას დოლარზე მეტია ჩარიცხული, რამაც ოჯახის კომენტარია, რომ ეს არის მათი დიდი ბაზუის დამსახურება, რომელიც თეატრალური მხატვარი იყო და მისი შინაარსებით ოჯახის მემკვიდრეს აუცილებლად თანხა ეკუთვნის.

„თითქოს რუსეთს ემბდვის ელენე ხომბარაძე, თორემ ყველა ასპექტში გავანალიზებთ სიტუაციას, რუსეთის ფედერაციის დღეს აწყობს გარკვეული მანიერების შექმნა საქართველოსთვის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, მანიერების მშენებლობაში ერთ-ერთი გამოჩენილი არის ელენე ხომბარაძე და ზუსტად იმ ჩარიცხვებს, იმ თანხების ოდენობას ვმხვდებით, რამდენადაც აქტიურია ელენე თავის დესტრუქციულ საქმიანობაში, რამდენით მეტ საღებავს მიახსნამ ვეძღვებო, იმდენი ემ-

ატება და ინტენსიური ხდება რუსეთის ბიუჯეტიდან დახმარება. ამიტომ არაა იფიქროს, რომ ქვეყნები თავიანთი ინტერესის გარეშე აკეთებენ რამეს, მით უმეტეს, რუსეთის ფედერაცია. ჯერჯერობით ეს შექმნილი სწორედ იმ საეჭვო სურათს ქმნის, რომელიც შეგვიძლია, რომ ვილაპარაკოთ“, - აღნიშნა გია ვოლსკიმ.

რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ელენე ხომბარაძისთვის გადმოიციხულ თანხასთან დაკავშირებით განხილულია ოპოზიციის პოზიცია. ნაწილი თვლის, რომ იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლებას რუსეთთან კავშირში ადანაშაულებ, რუსული ფულის აღება უხერხულია, მეორე ნაწილი კი ამბობს, რომ ახლა მთავარი პრობლემა ქვეყანაში გავლენიანი რუსების შემოშვება და მათთან ხელისუფლების ურთიერთობაა, ვიდრე ფედერალური ბიუჯეტიდან ჩარიცხული

5 მილიონი რუბლი. „სტრატეგია აღმაშენებლის“ წევრი, სერგო ჩხილაძე აცხადებს, რომ არ იცის, ვის რა ჩაერიცხა, მაგრამ იცის, რომ კადროვლები დარბიან საქართველოში.

საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის „გირჩი“-ის წევრი ვახტანგ მეგრელიძე აცხადებს, რომ ხომბარაძის არგუმენტი, რითაც რუსული ფულის შემოდინება ამართლებს, აბსურდულია. ოპოზიციონერი დეპუტატისთვის რადიკალურად არასწორია, როდესაც ოპოზიციის რუსეთიდან ფინანსდება და შესაბამისად, მისი თქმით, ხომბარაძის საბაზი არის ძალიან ზღაპრული.

„მივივს, რატომ თვითონ ელენე არ ხსნის ამას საჯაროდ, თითქოს ამის ახსნა არ იყოს საჭირო. ძალიან სერიოზული პრობლემა მგონია ოპოზიციის მხარეს, მით უმეტეს, როცა იმ პოზიციებზე ხარ, რომელიც ხარ. რუსეთს ემბდვი და რუსეთიდან იღებს ფულს, თან სახელმწიფოსგან. ეს რა-ღაცნაირად აბსურდული სიტუაციაა... რადიკალურად არასწორია, როდესაც ოპოზიციის რუსეთიდან ფინანსდება, რაც არ უნდა საბაზი იყოს და მით უმეტეს ეს არის ძალიან ზღაპრული საბაზი, რომელიც ელენეს შემთხვევაში ვიცით, რომ არსებობს“, - აცხადებს ვახტანგ მეგრელიძე.

ის, რაც „გაუგებარია“ ოპოზიციისთვის, გასაგებია ანალიტიკოსებისთვის. გია აბაშიძის განცხადებით, ხომბარაძის ამორალურობასა და ფსევდოპატრიოტიზმზე საუბარი უაზრობაა, რადგან მას დიდი ხანია სინდისი გაცვლილი აქვს რუბლებში.

„რუსეთის სასარგებლო იდიოტმა ელენე გვარგევიანმა ხომბარაძე მორიგი „პადაჩკა“ მიიღო მოსკოველი დაშვებებისგან და 22 მაისს 2,5 მილიონზე მეტი რუსული რუბლი, დაახლოებით 31 ათასი დოლარი ჩაერიცხა. ხომბარაძის ამორალურობასა და ფსევდოპატრიოტიზმზე საუბარი უაზრობაა, რადგან მას დიდი ხანია სინდისი გაცვლილი აქვს რუბლებში. საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობისთვის „30 ვერცხლს“ იღებს ოკუპანტის სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ჰყავს მიმდევრების რაღაც მარგინალური ჯგუფი, რომელიც მიმშურია მასთან ან ტოტალური უვიცილობით ან ანგარებით“, - აცხადებს გია აბაშიძე.

ანალიტიკოს დავით ზარდიაშვილის განცხადებით, რა გეგმები და ინტენსივობა რუსული დაფინანსების უკან, ამას დეტალურად არავინ არ გვეტყვის, მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როდესაც ლაპარაკი მიდის გლობალური ომის პარტიზანზე და რუსული იმპერიალიზმის ინტენსივობაზე, ისინი ხშირად არიან სიტუაციური მოკავშირეები, ერთი ინტენსივობა აქვთ.

„ჩვენ არ უნდა დავგავიწყდეს ხომბარაძის ქმედება და ფაქტი, რომ ის ამ წუთას წინააღმდეგობას უწევს ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართულ სამართალს და ცდილობს, რომ ჩვენი პოლიტიკური ნება აქციოს არარაობად, მდგომარეობა შეცვალოს ჩვენთვის საავალალოდ და სამედისწეროდ. მტრულად იქცევა. მნიშვნელობა არ აქვს, ამის უკან ვინ დგას - რუსეთი, თუ გლობალური ომის პარტია, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ფაქტია, რომ ჩვენთვის მტრულია.

ამიტომ, უნდა იმუშაოს სპეციალურმა სამსახურებმა და გააჩვენონ რა კავშირები არსებობს გლობალური ომის პარტიასა და რუსეთს შორის, როგორ დგება ეს მოკავშირეობა და ა.შ. უნდა ვიმსჯელოთ შედეგების მიხედვით რა მოაქვს ამ ხომბარაძის აქტიურობას, გარდა არეულობისა, დესტაბილიზაციისა და განცდისა, რომ რაღაცაში მდგომარეობისკენ მივდივართ. ამკარად ჩანს, რომ ხომბარაძის მოქმედებები საქართველოში უმსახურება არა სიკეთეს, არამედ პირიქით, შუღლის გაღვივებას, არეულობის მოწყობას, დესტაბილიზაციას, ომის გაჩაღებას“, - აცხადებს დავით ზარდიაშვილი.

პოლიტოლოგი, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტი თამარ კვიციანი აცხადებს, რომ ელენე ხომბარაძე, რომ არ თამაშობს ქართულ თამაშს ეს ისედაც გასაგებია. პოლიტოლოგი არ ფიქრობს, რომ ხომბარაძე იმდენად უმცარი იყო, რომ ასე იქცეოდეს. მისი თქმით, მიგმო-ს რომ დაამთავრებ, ეს გვერს ნიშნავს, საკმაოდ კარგ განათლებას იღებ...

„ამიტომ, არც მაინტერესებს გადმოვიცხეს თუ არა. ჩემთვის მისი მოტივაციის და მოქმედების სტილი არის ნათელი და დასტურდება, რომ ვიდაცის დაკვეთას ასრულებს...“

თამარ ქარაძე

# მოგვსჯენ, არ მოგვსჯენ, გაკუთვნით, მაგრამ... არ გაკუთვნით!

**სტატუსის არაქონება  
შეიძლება აღმოჩნდეს ნაღი,  
რომელზემ საქართველოს  
სტაბილურობა აფეთქდება**

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი ევროკავშირის რეფორმების გატარების მოწოდებით გამოვიდა, რათა გადავიდოდეს ახალი წევრების მიღება. ეს ახალი ინიციატივა არ არის, ამაზე გერმანელები დიდი ხანია საუბრობენ და შეიძლება მათ რამდენიმე ქვეყნის მხარდაჭერა ჰქონდეთ, მაგრამ გამოიციხულია,

რომ ეს შემოდგომისთვის მოხდეს, რადგან ამას ხანგრძლივი პროცედურები სჭირდება და ასევე სჭირდება 27-ვე ქვეყნის თანხმობა.

ერთ-ერთ მიზეზი, რატომაც გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცი ეს საკითხი დააყენა, ისინი ელოდებიან არა 27-წევრიან ევროკავშირს, არამედ 36-წევრიანს, რომელიც სავარაუდოა, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის განცხადებით, ასევე მოიაზრება საქართველო. მისი თქმით, 36 წევრი ქვეყნის ერთ პოზიციებზე დადგომა ძალიან რთული იქნება და ეს მომავალში ევროკავშირისთვის გაართულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ამიტომ ურჩევენია, რომ გადავიდნენ ვვალდებიან უმრავლესობის პრინციპზე. რაც შეეხება საქართველოს, ნიკოლოზ სამხარაძის განცხადებით, საბოლოო ჯამში ვადაწყვეტილება არის პოლიტიკური. რეკომენდაცია არის მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ პოლიტიკოსებს, სახელმწიფო მეთაურებსა და ლიდერებს გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმოს.



„მოსინის მაგალითზე ვნახეთ, რომ მას შესრულებული არ ჰქონდა ის რეკომენდაციები, რომელიც მას მისცეს და მიუხედავად ამისა, შარშან, დეკემბერში, მოსნიამ მაინც მიიღო სტატუსი. საბოლოო ჯამში რეკომენდაციების შესრულება მაინც მნიშვნელოვანია, ამიტომ ჩვენ ყველას შევასრულებთ, რომელიც ევროკავშირის მოგვარდა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ამ რეკომენდაციების შესრულებით სრულდება ყველა საშუალო და მეტი არაფერი გვჭირდება.“

რეკომენდაციების შესრულება კარგი იქნება იმ-



„ნაციონალურს ოცნების“ დამარცხების გასაღები კი არ აქვთ, პირიქით, მმართველ გუნდს აქვს ნაციონალურს დამარცხების გასაღები

ნაციონალურს თავმჯდომარე ლევან ხაბაიძის უტყუარად აცხადებს, რომ მინიმალური იდეისთვის „ნაციონალურს“ გასაღები „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს. ამიტომ, ის ოპოზიციას მიანიშნებს, რომ არჩევნებამდე ყველა ოპოზიციური პარტია ნაციონალურს გარშემო უნდა გაერთიანდეს. ხაბაიძის განცხადებით ჩნდება ვარაუდი, რომ ის აპირებს დაეხმაროს ყველა იმ პარტიას, რომელსაც დახმარება შეეძლება აქვს. თუმცა რის სანაცვლოდ და რატომ უნდა დაეხმაროს ოპოზიციის ნაციონალურს კვლავ ხელისუფლებაში დამრუხებაში, ხაბაიძის ამბავი არ საუბრობს. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის როლს 2024 წლის არჩევნებში, „ნაციონალურს“ ამბობენ, რომ ჯერჯერობით სააკაშვილისგან ამბავი პასუხი არ იყავს. თუმცა თავად მოხარულნი იქნებიან, თუ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში დამრუხების შესახებ განცხადებას გააკეთებს.

ხაბაიძის ამ შეთავაზებას ოპოზიციიდან გამოხმაურება უკვე მოჰყვა. ენმ-ის თავმჯდომარე „ლელოში“ მენტორული ტონი დაურუნეს. პატარა პარტიების წარმომადგენელი პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ლევან ხაბაიძის არა აქვს არანაირი უფლება, ოპოზიციას ამ ტონით მისაუბროს. ერთადერთი პარტია, რომელიც ხაბაიძის ამ მოწოდებას იზიარებს, „სტრატეგია აღმაშენებელი“.

„ნაციონალურ მოძრაობას ვურჩევდი, რომ ასეთი გონივრით ოპოზიციური პარტიებთან საუბარს თავი დაანებოს მარტივი მიზეზის გამო – „ნაციონალურ მოძრაობას“, თავის დროზე, უმძიმესი შეცდომები აქვს დაშვებული, ამიტომაც არის მეთვრამეტე წელია „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, ამის გააზრება პირველ რიგში „ნაციონალურ მოძრაობას“ მართებს და თუ რა-მის გასაღები უნდა შეიძინოს, „ნაციონალურ მოძრაობას“ აჯობებს მიხეილ სააკაშვილის სახის გასაღები ეძებონ, მოიპოვონ და მიხედონ იმ საქმეს, რაც მათ ევალებათ“, – ამბობს „ლელოს“ გენერალური მდივანი ირაკლი კუპრაძე.

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე For.ge-სთან ამბობს, რომ როდესაც „ნაციონალური

სეპი და სუბარა ხაბაი აბსურდული „გაპროტონება“

მოძრაობა“ ცაცილებით უფრო ძლიერი იყო, მაშინაც კი, ოპოზიციისთან გაერთიანებამ არანაირი შედეგი არ მოიტანა, პირიქით, პატარა პარტიებმა საკუთარი ამომრჩეველები კი დაკარგეს.

„ამ წლების განმავლობაში ოპოზიციამ და თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერაფრით გაიგო და გაიანზრა, რომ როგორც კი არჩევნებში „ოცნება“ და ენმ ერთმანეთის პირისპირ მარტო რჩებიან, ყოველთვის მმართველი გუნდი იგებს. ამას დიდი კვლევები არ უნდა. ელექტორატი საქართველოში სამ ნაწილად არის გაყოფილი. ეს არის, „ოცნების“, ნაციონალურს და მესამე ნაწილი, რომელსაც არც ერთი არ უნდა. თუმცა, როგორც კი საკითხი ამ ორ პარტიას შორის არჩევანზე დგება, ეს მესამე ნაწილი იყოფა პროპორციით დაახლოებით 40/60-ზე, „ოცნების“ სასარგებლოდ.

ეს ყველაფერი ვნახეთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა მრალდებული სააკაშვილი საქართველოში შემოპარული არ იყო და ითვლებოდა, თუკი დამრუხდებოდა, ამ ხელისუფლებას გადაადგმდა. ახლა შევხედოთ „ნაციონალურ მოძრაობას“ რას წარმოადგენს. ეს არის დაშლის პირას მყოფი პარტია, რომლის რეიტინგი და პოლიტიკური ფასი თითქმის განუღებელია. პარტიას სათავეში უდგას ის ხალხი, ვის გამოც სააკაშვილის ხელისუფლებას უარს უთხრეს. კენჭრამული-მერამბიშვილი და ადგილობრივი, ესაა ხალხი, რომელიც შექმნილი სისტემა ხალხს ცხოვრებას უნგრევდა. კიდევ იქმნება რაღაცა ჯგუფები და შემოდგომაზე ნაციონალურს ორად გაიყოფიან. ამიტომ ხაბაიძის შეთავაზება, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ „ოცნების“ დამარცხების გასაღები აქვს ხელში, სრული აბსურდია“, – ამბობს ძაბირაძე.

მისივე თქმით, ამას ლევან ხაბაიძის იმ-იტომ ალაპარაკებენ, რომ ეს თავად „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება. მათ რეალურად დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა კი არ სურთ, არამედ ნიადაგის მომზადება იმისთვის, რომ ეს გაყოფა თუ მოხდეს, ნაკლებად მტკივნეული იყოს და ელექტორატის დიდმა ნაწილმა „ნაციონალური მოძრაობა“ არ დატოვოს. შემაჯავებელი ფაქტორი იქნება, დღეს თუ ოპოზიციის ნაწილი იტყვის, რომ ამ გაერთიანებაში მონაწილეობს.

„ნაციონალურ მოძრაობას“ „ოცნების“ დამარცხების გასაღები თუ ჰქონდა, აქამდე რატომ არ გამოიყენა?! ენმ-ის ახალ მენეჯმენტს, როგორც ჩანს, მინც მელიას ფლანგის მიმართ აქვს გარკვეული შიში. ჩვენ ვნახეთ შიდა არჩევნების დროს როგორ გაიყო ხმები და მათ შორის თითქმის ერთნაირი მხარდაჭერა არსებობს პარტიაში. ხაბაიძის, გვახსოვს ამომრჩეველს სააკაშვილის ცხიდან დახსნას დაპირდა, მაგრამ ეს დაპირება არ შეუსრულდება. ამიტომ არ გამოიყენებს, რომ ამის გამო მისი რეიტინგი დაეცა. ხოლო მელია, პირიქით, ამას სათავესოდ იყენებს. მე მას სულ მოვეუწოდები, რომ შემოდგომამდე დაეცა და შემდეგ მივლო გადაწყვეტილება. როგორც ჩანს, მელიას ასე ფიქრობს. ამიტომ ხაბაიძის და მის უკან მდგომ კენჭრამული, მერამბიშვილს და ადგილობრივ ენმ-ის, რომ მელიამ ახალი პოლიტიკური ძალა არ შექმნას, რომელიც სწორედ ამ პატარა პარტიებს მიზნად აქვს. ამიტომ არ გამოიყენებს, რომ დასწრებასაც ცდილობენ“, – ამბობს ძაბირაძე.

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ლევან ხაბაიძის განცხადება თავის გამხმარებელს უფრო ჰგავს, ვიდრე რეალურს. ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის იმ ფორმაში და სიტუაციაში, რომ მასთან ვინმეს გაერთიანება სურდეს. მეორე

„ამ წლების განმავლობაში ოპოზიციამ და თავად „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერაფრით გაიგო და გაიანზრა, რომ როგორც კი არჩევნებში „ოცნება“ და ენმ ერთმანეთის პირისპირ მარტო რჩებიან, ყოველთვის მმართველი გუნდი იგებს.“

ისათვის, რომ როდესაც ვეროკომისია საკუთარ ანგარიშს გამოაქვეყნებს, იქ მას ეწერება, რომ ამ ქვეყანაში ეს რეკომენდაცია უფასურია, შესაბამისად, მე ვაძლევ რეკომენდაციას საბჭოს, რომ მიიღოს დადებითი პოლიტიკური გადაწყვეტილება. თუ ამის შემდეგ ვინმე საქართველოს წინააღმდეგი წავა, მაშინ ამ ქვეყნის ლიდერს ჩვენი სამოგადომისთვის მოუწევს ახსნა, რატომ მოიქცა ასე“, – აღნიშნა ნიკოლოზ სამხარაძემ. ქართული მხარე ელოდება, რომ საქართველოსთან მიმართებაში მიღებული იქნება სწორი გადაწყვეტილება, რაც დაასრულებს ქვეყანაში პოლარიზაციას. თუმცა განსხვავებული მოლოდინი აქვთ რადიკალურ ოპოზიციას, რომლებიც ცხელი შემოდგომისთვის ემზადებიან. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ იმ ტრენინგების შინაარსი და მიზანი, რომელიც ზურაბ გირჩი ჯაფარიძემ და მისმა თანაგუნდლებმა გამართეს – „სისხლი“ და „რევოლუცია“ – შემადგენელი ნაწილი იყო იარაღთან მოპყრობა და მისი მოხმარების სწავლება. როგორც ცნობილია, მაკურანის სემინარზე მენტორის სტატუსით იმყოფებოდა აშშ-ის არმიის ყოფილი ოფიცერი და ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი დევიდ მერტელესი. ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, ახალგაზრდების მეორე ნაწილი ფრაქცია „ხალხის მსახურის“ თავმჯდომარის დავით არაბაძის ორგანიზებით უკრაინაში წაიყვანეს, სადაც გადიან სპეციალურ მომზადებას. როგორი იქნება ევროპის ვერდიქტი, შექმნილი დინამიკური

ვითარებიდან გამომდინარე, საუბარი უჭირს პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს, რომლის განცხადებით, თუკი დღევანდელი სიტუაცია შენარჩუნდება, ეცდებიან, რომ მოგვეცნ კანდიდატის სტატუსი, მაგრამ თუ არ შენარჩუნდება დღევანდელი სიტუაცია, როგორც ფრონტზე, ასევე მსოფლიო ეკონომიკაში, იქნება სერიოზული ძვრები, მერე რა მოხდება ძნელი სათქმელია. „დღევანდელ დღეს მაინც მგონია, რომ ტრანზიტების კავასისიკენ გადმოლაგების პირობებში ევროპელები ეცდებიან ისეთი ნაბიჯები გადადგან, რომელიც სტატუსის მიღების პროცესს უფრო გააადვილებს. ჩვენს მომავალი მედი, ალბათ, სტატუსზე დამოკიდებული. იმდენად ხშირად ისმის ეს ფორმულა ოპოზიციის მხრიდან, რომ თუ არ მოვეცნება სტატუსი, ეს იქნება ხელისუფლების მრალი და ამიტომ ხელისუფლება უნდა შევცვალოთ, მისი გაჩვენება არ შეიძლება, თორემ ევროპაში ვერ შევალთ. აი, ამ აზრის პედალირება იმდენად ხშირად ისმის, საგარეულოა, რომ სტატუსის არმოცნება შეიძლება აღმოჩნდეს ნაღმი, რომელზედაც საქართველოს სტაბილურობა აფეთქდება“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ. ანალიტიკოსი ედიშერ გვენტაძის განცხადებით, დღეს მსოფლიოში ისეთი სიტუაცია არის შექმნილი, რომ ყველაფერი მოსალოდნელია. აქედან გამომდინარე, მისი თქმით, ვერავინ ვერ იტყვით შემოდგომაზე რა პროცესები განვითარდება.

„ჩემი აზრით, ახლა ისეთი ვითარებაა, რომ საქართველოს აწყობს ევროკავშირი და ევროკავშირსაც აწყობს საქართველო. თუ ევროკავშირი საქართველოს არ მისცემს იმ არაფრისმეტყველ კანდიდატობის სტატუსს, ამით ძალიან დიდად დააზარავს, კიდევ უფრო მეტად ხელ-ფეხს გაუხსნის აგრესიულ ძალებს როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. ევროკავშირი თავად უნდა დაინტერესდეს და მხარი დაუჭიროს ქართველ ხალხს და არა იმ ე.წ. სუბიექტებს და იმ ე.წ. ლიბერალურ ძალებს, რომლებიც უკვე მღვანს არიან გადასული. არსებული რეალობა მოითხოვს, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა მოგვეცნ ევროკავშირის კანდიდატობის სტატუსი, ვინაიდან ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება და პოლიტიკური გადაწყვეტილება თუ შექმნის იმის საფუძველს, რომ ამის შემდეგ კიდევ უფრო მეტად მოხდეს საქართველოში დეპოლარიზაცია. თუ უნდათ საქართველოში პოლარიზაცია, არ მოგვეცნ, თუ უნდათ დეპოლარიზაცია – მოგვეცნ. საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის არმიცნება ძალიან დიდი უსამართლობა იქნება. მე მინდა დირსებით ევროკავშირის სტატუსი და არა დამცირებული, ისე როგორც მას ფორტივეები, კრამონები, კუბილესები და ძმანი მისი აკუთვნენ“, – აცხადებს ედიშერ გვენტაძე.




მხრივ, საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ნაციონალურს „ოცნების“ დამარცხების გასაღები კი არა აქვთ ხელთ, არამედ პირიქით, მმართველ გუნდს აქვს ნაციონალურს სახით მათი დამარცხების გასაღები. ეს კი წლების განმავლობაში ასე გრძელდება.

„არ ვიცი პატარა პარტიებს რატომ უნდათ წინასაარჩევნოდ ისეთ პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანება, რომელიც ფაქტობრივად დაშლის პირას იმყოფება. არ ვიცი ხაბაიძის ვინ აჯერებს, რომ ხელისუფლების დამარცხების გასაღები აქვთ ხელთ, რადგან ეს გასაღები წლებია სათანადოდ ვერ მოაზრეს. ახლა კი მით უმეტეს, თავად გაჩივრებაში მყოფებს, რომლებიც ხაბაიძის ეჭიდებიან, საეჭვოა ვინმეს გადაარჩინის და ფონს გაყვანის თავი ჰქონდეთ. ეს უფრო იმას ჰგავს, რომ ეზინათ ოპოზიციურ ფლანგზე სხვა უფრო ძლიერი ძალა არ შეიქმნას, რომელიც ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველს მიიმხრობს. ყველა კარგად იცის, რომ პირიქით არის და ხელისუფლებას აქვს „ნაციონალური მოძრაობის“ სახით გასაღები, რომლის მეშვეობითაც არჩევნებში არ მარცხდება. ხალხს ეზინია ნაციონალურს არა მხოლოდ წარსულის გამო, არამედ აწყობს და მომავლის გამოც. ხედავენ და უსმენენ ეს ადამიანები რასაც საუბრობენ, სად უნდა ქვეყანა წაიყვანონ და გადაჩვენონ. ოპოზიციაც კი მაინც და საშუაო ქვეყნისთვის და ისევ მათი ხელისუფლებაში დამრუხება რასაც ნიშნავს, ამას ხალხი ათვითნობიერებს. იგივე რიტორიკით საუბრობენ და არაფრის შეცვლაც არ უნდათ. ამიტომ ხაბაიძის ოპტიმიზმი, თუ ოპოზიციას რაიმე ანალიზის ელემენტარული ნიშნაყალი გააჩნია, სასაცილო უნდა იყოს. პირიქით, ნაციონალურსგან დისტანცირება მაქსიმალურად საჭიროა, თუკი უნდათ, როგორც პოლიტიკური ძალა არ გაქრნენ. რაც შეეხება სააკაშვილს და იმის მცდელობას, რომ ის კვლავ პოლიტიკაში შემოაბრუნონ, ეს ისევ თავად სჭირდებათ. ენმ ცდილობს დაშლის რისკის წინ მდგარი პარტია სააკაშვილის მხარდაჭერით გაამყარონ. იგი ერთგვარი მაშველი რგოლია, რომელიც გადასარჩენად სჭირდებათ“, – ამბობს საყვარელიძე.

ლიკა ბერიკაშვილი



# პართიველი მიქელანჯელო



## მერაბ ბერძენიშვილის უკვდავება

მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს მოქანდაკეს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო წევრს ბატონ მერაბ ბერძენიშვილს 2023 წლის 10 ივნისს 94 წელი შეუსრულდებოდა.

მერაბ ბერძენიშვილი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში, ჩვენგან წავიდა უდიდესი ხელოვანი, დიდი მამულიშვილი და ბრწყინვალე პიროვნება.

მერაბ ბერძენიშვილი იყო მსოფლიოში ცნობილი ქართველი მოქანდაკე, ფერმწერი და გრაფიკოსი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საქართველოს სახალხო მხატვარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

მონუმენტური, გრაფიკული თუ ფერწერული ნამუშევრებით მერაბ ბერძენიშვილმა ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ხელწერა შექმნა. მისი შექმნილია დავით აღმაშენებლის და დავით გურამიშვილის ქანდაკებები, ზაქარია ფალიაშვილის, დოდო აბაშიძის, სანდრო ახმეტელის, ტიცინ ტაბიძის, ილია ქავჭავაძის, ვაჟა ფშაველას და ქეთევან წამებულის ძეგლები. მერაბ ბერძენიშვილს ეკუთვნის ყველასათვის ცნობილი „მუზა“ ფილარმონიის წინ. ბავშვთა პარკში შექმნა ნოდარ დუმბაძის მემორიალი, მწერლის პორტრეტი და პერსონაჟები რომანიდან „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“.

დიდგორის ბრძოლის ადგილას განხორციელდა სკულპტურულ-არქიტექტურული კომპლექსი, მოსკოვში აღიმართა მერაბ ბერძენიშვილის მიერ შექმნილი შოთა რუსთაველის ძეგლი. კასპში გიორგი სააკაძის ცხენოსანი ფიგურა, ასლი კი დაიდგა თბილისში, ბიჭვინთაში დაიდგა ქანდაკება „მედა“, სოჭში – „ა-დამი და ევა“, მარნეულში აღიმართა კომპოზიცია „ვიდევაკ დაიზრდებიან“, გურჯაანში დაიდგა მემორიალური კომპლექსი „ჯარისკაცის მამა“, ქუთაისში – თმში გამარჯვების მემორიალი. მიჩიგანის ქალაქ ტრავერსიტში დაიდგა კომპოზიცია „საქართველო“, ავსტრიაში – ჰერმან კმანერის ქანდაკება, ლათსის მეფის სისაგან ვონგის ძეგლი აღიმართა ვენტიანში, ხოლო ძეგლის ასლი ქალაქ პრაბანგში.

მერაბ ბერძენიშვილის გამოფენები მოწყობილია საქართველოსა და საგერანგეთში, რუსეთსა და ჩეხეთში, გერმანიაში და პოლონეთში, ბულგარეთში, ამერიკაში. ბატონი მერაბი სამი უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატია, მიენიჭა ნობელის პრემიის ლაურეატის მედალი, დაჯილდოებულია რუსეთის სამხატვრო აკადემიის მედლით „ღირსეულს“, ღირსების დიპლომით და ვერცხლის მედლით ოცდამეერთე საუკუნის ჯილდო მიღწევებისათვის ქანდაკების სფეროში, გადაეცა საქართველოს მხატვართა კავშირის პრიზი „ოქროს ლომი“. იგი ასევე საქართველოს ეკლესიის წმინდა გიორგის ოქროს ორდენის მფლობელია. მერაბ ბერძენიშვილი თბილისის საპატიო მოქალაქეა.

ცნობილი ფილოსოფოსი და კულტუროლოგი, პროფესორი მოისეი კაგანი მერაბ ბერძენიშვილის შესახებ წერდა: „მხატვარი ყოველგვარ ვითარებაში თავისი ერის შვილად რჩება, – ის ქართველია თავისი ტემპერამენტით, ქალთან რაინდული დამოკიდებულებით, გაჟვრებისთვის ხოტბის შესწმით, ადამიანის ყოფაში ბუნების როლის გააზრებით, რაც გამოვლენილია თავის ყველა მემორიალურ კომპოზიციაში გრანდიოზული ლანდშაფტის ჩართვით...“

განსაკუთრებით მძიმეა ასეთი სახელგანთქმული შემოქმედის გარდაცვალება ჩვენთვის, საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმისა და თანამშრომლებისათვის, იგი ხომ სიცოცხლის ბოლომდე, ოცი წლის განმავლობაში იყო ამ ფონდის თავმჯდომარე და სულისჩამდგმელი. კულტურის ფონდი ახორციელებდა, როგორც საქველმოქმედო, ისე აღმშენებლობით საქმიანობას. მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით აშენდა კულტურის საერთაშორისო ცენტრი „მუზა“, რათა ის გამხდარიყო საქართველოში კულტურული ღონისძიებების ჩატარების ფლაგმანი, მისი მეშვეობით მოხდებოდა ქართული კულტურის მდიდარი ტრადიციების უცხოელებისათვის გაცნობა და შეყვარება. ბატონი მერაბის დიდი ძალისხმევით 2016 წლის მაისის თვეში ჩატარდა მოქანდაკეთა საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქანდაკების არსი ოსტატის ხელში“ საფაროში, სადაც მოწვეული იყვნენ 14 ქვეყნის მხატვრები და მოქანდაკეები. ისინი გაეცნენ ამ მიმართულებით საქართველოს მიღწევებს, განსაკუთრებით აღფრთოვანდნენ ბატონი მერაბის შემოქმედების სიდიადით და მრავალფეროვნებით.

ბატონი მერაბის სახით საქართველომ დაკარგა, არა მარტო როგორც უდიდესი ხელოვანი, არამედ როგორც უაღრესად კეთილშობილი, სამშობლოზე უსასღვროდ შეყვარებული და მის მომავალზე ფიქრით დამაშვრალი ადამიანი. მისი სახელი სამარადისოდ შევა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და ერთ-ერთ გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებს ჩვენს ღირსეულ მამულიშვილთა გვერდით.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, აკადემიკოსი **თამაზ შილაკაძე**




მიქელანჯელო



ლეონარდო




მედა (ბიჭვინთა)



ბურული



ქიდეას ლაიზრებაიან



პართიველი ქალი



ჯარისკაცის მამა





### დადიანების სასახლეში უიზონათის ნივთების რესტავრაცია დაიწყო

დადიანების სასახლეში უნიკალური ნივთების რესტავრაციის პროცესი უკვე დაიწყო. ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია ინფორმაციას ავრცელებს სამეგრელოს დედოფლის, ეკატერინე ჭავჭავაძის და პრინცესა სალომე მიურათის აღდგენილ ნესესერზე, ასევე – რესტავრირებულ ლუსკუმაზე.

„დადიანების ლუსკუმა. ხე. ლევკასი, მოთქროვილი. 1874 წელი. რესტავრაციის პროცესი ითვალისწინებს უნიკალური ნივთის გაწმენდას, ემალისა და მოთქროვების გამაგრებას. ნივთის შედაპირის ნაწილზე კარგად ჩანს განსხვავება რესტავრირებულ და სარესტავრაციო ნაწილებს შორის. რესტავრაციის ანდრეი ნაზარენკო. ხელოვნების სასახლის სარესტავრაციო ლაბორატორია“, – წერს გიორგი კალანდია.

### საქართველოს თოჯინების სახელმწიფო თეატრების გრან-პრი

კულტურის თეატრალურ ფესტივალზე საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გერმანიებში გრან-პრი მოიპოვა.



„პოლონეთის თეატრალურ ფესტივალზე, სადაც მონაწილეობდნენ ისეთი წამყვანი ქვეყნები, როგორებიც არიან: პოლონეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, კანადა, მონსია-პრეცეგოვინა, სლოვენია, ხორვატია, უკრაინა საქართველომ საუკეთესო სპექტაკლის ტიტული მოიპოვა და საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გერმანიებში გრან-პრით გვიმარტყა ნიკოლოზ სამაშვილის საავტორო სპექტაკლი „საქართველო“. სპექტაკლმა მოიპოვა აგრეთვე მაყურებლის სიმპათიის პრიზი.

სპექტაკლის ტიტული მოიპოვა და საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გერმანიებში გრან-პრით გვიმარტყა ნიკოლოზ სამაშვილის საავტორო სპექტაკლი „საქართველო“.

### გიორგი გიგაშვილის მორიგი ნარკაბა

სტუდენტური ჯიშის გიორგი გიგაშვილი BBC-ს New Generation Artists-ის 2-წლიან პროგრამაში მოხვდა.

„BBC-ის ახალგაზრდა თაობის ორწლიან (2023-2025) პროგრამაში ვარ ოფიციალურად, რაც გულისხმობს დიდ ბრიტანეთში კონცერტებს, ფესტივალებსა და ალბომების ჩაწერას ისეთ პრესტიჟულ ორგანიზაციებთან, როგორებიც არიან BBC Philharmonic და BBC Symphony Orchestra“, – წერს მუსიკოსი საკუთარ ფეისბუქგვერდზე.

New Generation Artists 1999 წელს შეიქმნა და მისი მიზანი ახალგაზრდა ხელოვნების მხარდაჭერა და მათი ფართო აუდიტორიისთვის გაყვანაა. პროგრამისთვის მსოფლიოს მასშტაბით საუკეთესო პოტენციალის მქონე ხელოვნებლებს არჩევენ და წელს მათ შორის ქართველი პიანისტიც მოხვდა. პროგრამის ფარგლებში გიორგი და სხვა მონაწილეები სხვადასხვა ფესტივალებთან და ხმის ჩამწერ სტუდიებთან ითანამშრომლებენ და დიდ ბრიტანეთში კონცერტებსაც გამართავენ.



RADIO 3 NEW GENERATION ARTISTS


შეგახსენებთ, რომ მარტში გიორგი გიგაშვილმა რუმინეთის საერთაშორისო საფორტეპიანო კონკურსში მეორე ადგილი დაიკავა.

### ქვეპრიის სკოლა ნალენჯისაში

ნალენჯისაში „საქართველოს უნივერსიტეტის“ კემპუსის საერთაშორისო სკოლა ამჟამად მშენებლობის პროექტის პრეზენტაცია „საქართველოს უნივერსიტეტის“ რექტორმა კოკა თოფურიაშვილმა გაიმართა.

„საქართველოს უნივერსიტეტის“ კემპუსის საერთაშორისო სკოლის პროექტის დეტალური საინვესტიციო ღირებულება, ჯერჯერობით უცნობია. წალენჯისაში კემპუსის საერთაშორისო სკოლის კამპუსი 500 მოსწავლემ იქნება გათვლილი და მათგან 250-ს კამპუსში ცხოვრებაც შეეძლება. გარდა ამისა, სკოლა-ინტერნატს ექნება საცხოვრებელი, სადაც მშობლები და პროფესორ-მასწავლებლები შეძლებენ დასვენებას.

„კამპუსი წალენჯისიდან 10 წუთის სავალზე აშენდება. ტერიტორიაზე განთავსდება სპორტული მოედნები, სა-



ცურაო აუზები, კულტურული ცენტრი სააქტო და სხვა დანაშაბებით“, – აცხადებენ პროექტის ავტორები.

როგორც პრეზენტაციაზე საქართველოს უნივერსიტეტის რექტორმა განაცხადა, ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო სკოლა საქართველოში, სადაც ისწავლიან არა მხოლოდ საქართველოდან, არამედ – უცხოეთიდანაც. კოკა თოფურიაშვილი თქმითვე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში სწავლა და დასვენება შეეძლება აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიიდან მსურველ მოსწავლეებს, რომლებიც კამპუსშივე შეძლებენ დასვენებას.

კამპუსი, დაახლოებით, 2-3 წელიწადში აშენდება და, სავარაუდოდ, სამი წლის თავზე, სასწავლო პროცესიც დაიწყება. კერძო სკოლაში სწავლა მოსწავლეებს მერ კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით შეეძლება. რაც შეეხება სწავლის საფასურს, სკოლა ფასიანი იქნება როგორც ქართველი, ისე უცხოელი მოსწავლეებისთვის, თუმცა კოკა თოფურიაშვილმა განმარტა, ქართველი მოსწავლეებისთვის სწავლა გაცილებით იაფი იქნება, ვიდრე უცხოელებისთვის.

### ქართული ღვინის პრიზი


WinExpo Georgia 2023-ის გამარჯვებულების ვინაობა ცნობილია. ღვინის საერთაშორისო რეგიონალურ კონკურსის გამარჯვებულები ქართველი და უცხოელი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა ჟიურმა გამოაქვინა. კონკურსში 7 ქვეყნიდან ჟიურის 11 წევრი იღებდა მონაწილეობას და ის მრეა გასინჯვის პრინციპით ჩატარდა.



ორი დღის განმავლობაში 80-მდე კომპანიის 250-ზე მეტი სახეობის ღვინო გასინჯა. გამარჯვებულები შემდეგი კატეგორიების ღვინოებში გამოვლინდნენ – თეთრი, ნახევრად ტკბილი, თეთრი ქვევრის, თეთრი მშრალი, წითელი მშრალი, წითელი ქვევრის, წითელი ნახევრად ტკბილი, როზე. WinExpo 2023-ის ფარგლებში, ღვინის საერთაშორისო კონკურსში ოქროს მედალები შემდეგი კომპანიების ღვინოებმა მოიპოვეს: ხმელის მარანი, ლომისკარელი, საოჯახო მეღვინეობა მილდანი, გიდა ვაინი, მარანი, მეღვინეობა ჩელტი. უმაღლესი რანგის ჯილდო-ტროფეი Mildiani Family Winery/საოჯახო მეღვინეობა მილდანი და Chelti Winery/მეღვინეობა ჩელტი მოიპოვა.

